Open Call
Tbilisi Architecture Biennial 2024: *Correct Mistakes*

Biennial Dates: September 28 – October 19, 2024

Important dates:

- Submission opens: March 23, 2024
- Application deadline: May 13, 2024 23:59 CEST

Announcement of results:

- June 15, 2024 (The deadline for the announcement of the results might be prolonged due to a possible high number of applications or due to the need for additional interviews with applicants. All such changes will be communicated only through social networks -Facebook and Instagram - of Tbilisi Architecture Biennial)

The results will be available on the Facebook and Instagram pages of the Tbilisi Architecture Biennial.

Submissions and all related questions should be directed to the following email: submit@biennial.ge. Please indicate your inquiry or the title of the category you are applying for in the email's subject line. The Biennial will confirm the receipt of submitted documents within 24 hours. If you do not receive such confirmation, please do not resubmit the application package; send an inquiry instead. If confirmation still needs to be received, please do not resubmit the application package; instead, send an inquiry.

Applications received after the deadlines will not be considered. Only shortlisted and/or winning applicants will be contacted.

Topic

The 2024 edition of TAB will focus on the relationship between people and natural resources. It will highlight the critical role that architects, urban planners, communities, policymakers, and environmentalists play in navigating this complex dynamic.

The Tbilisi Architecture Biennial 2024 will explore the interdependent relationship between the environment and humanity, focusing on their mutual influences.
It will explore the interplay between Georgia's natural resources and societal challenges resulting from historical exploitation, environmental policies and climate change.

Georgia's geographic richness will be presented as a double-edged force that extends beyond water to broader ecological dimensions critical to the country's ecosystem, economy, agriculture, energy, and culture.

One of the research focuses of TAB 2024 will center on the water. This includes transforming revered water bodies into exploited resources, which resonates with global concerns regarding technological progress, climate change, and evolving societal values. In addition to this exploration, comprehensive critical research will engage experts to analyze the historical, political, geographic, environmental, economic, ethical, and social dimensions that have shaped Georgia's past and present regarding the use of shared natural resources in general.
The 4th edition of the Tbilisi Architecture Biennial will explore critical issues beyond water, including deforestation, mining cities, melting glaciers, the climate crisis, pollution and degradation of soil. The research will also focus on the complexities of urban growth and its constraints, prompting a thought-provoking exploration of transforming natural resources into commodities and tools for progress and profit.

Who can apply:

All interested architects, artists, writers, scholars, urbanists, and creative individuals, regardless of location, age or experience, are invited to submit a proposal. The application process is free of charge.

Submission process

Proposals can be submitted in two categories:

1. Contributions to Physical Projects (works/research in any physical format for indoor and outdoor space)
2. Educational Activities and Workshop.

Applications must be submitted in either English or Georgian. The international jury will evaluate all proposals based on their quality and relevance to the main concept of TAB 2024. All suggested projects must relate clearly to the Biennial's main theme.

Detailed description of terms of application:

1. Physical Project

Tbilisi Architecture Biennial will host the indoor exhibition as well as propose participants to create physical projects (installations) in the outdoor space. Applicants are free to suggest any format of their preference either in indoor or outdoor space.

Tbilisi Architecture Biennial suggests the following locations in Tbilisi, Georgia, as points of reference for the submitted proposals and concepts in the category of Physical Projects in case participants will decide to execute the projects in outer space. (please check the link). Nevertheless, the applicants are free to offer the locations of their choice.

The location of the indoor space will be communicated additionally.

Requested documents for submissions:

1. Short description of the project idea (max. 500 words)

2. Sketch/photo/render of the work and its technical description, including information on dimensions, color, orientation, working material, physical location, etc. (PDF or jpeg format)

3. Portfolio (optional) and CV of the applicant

4. Budget of the project.

A maximum of three selected participants will be awarded a maximum of 4000 Euros each to cover production costs and honorariums. The awarded amount includes all applicable taxes, including the bank tax for money transfers and travel costs. If the budget exceeds the amount designated by the Biennial, the applicants are welcome to provide additional funding from other sources.

One Additional winner will be selected from Switzerland as support from the Pro Helvetia fund with the same terms and rules stipulated above.

2. Educational Activity/Workshop

There will be one workshop offered in the frames of TAB 2024. The applicant should define their duration, context and details of implementation. Those interested in facilitation of the workshops are welcome to submit the following documents:

1. CV and portfolio of the applicant

2. Description of the concept, including topic and workshop components (max. 500 words).

3. Detailed budget

One selected proposal will be awarded a maximum of 3000 Euros to implement the workshop. The awarded amount includes all applicable taxes, including the bank tax for money transfers and travel costs. If the budget exceeds the amount designated by the Biennial, the applicants are welcome to provide additional funding from other sources.

Note: This open call is for selecting facilitators and workshop themes only. Based on the winners' decision, a separate open call for selecting participants might be announced later.

Selection process:

Proposals will be evaluated by an international interdisciplinary jury and invited experts so that each submission receives the same fair consideration.
The selection process will be held in two steps. During the first step, the jury will review all applications and select a short list of the best proposals. Representatives of the shortlisted projects, only if needed, might be invited to additional interviews. The dates of the possible interviews will be agreed on with the shortlisted participants only. The jury will evaluate the projects based on the concept's relevance to the Biennial's main topic, their impact, feasibility, urgency, and conformity with the suggested terms of application and budget. The jury reserves the right to reveal a winner or winners only if all of the submitted applications fulfill the contest's requirements.
It also reserves the right to not reveal any winner or less winners compared to above mentioned.

Results:

The final decision on the outcomes of the open call will be announced on the 15th of June, 2024.

Copyright:

Project participants will retain all rights to their ideas and designs. The Biennial maintains the right to create printed and digital materials, including the installations created by artists, and credits the artists. Original applications, personal information and supporting materials (description, budget, sketches/photos/renders) will be kept in the archive of the Tbilisi Architecture Biennial. They will not be transferred to third parties.

ღია კონკურსი

2024 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალე: *შეცდომების გასწორება*

ბიენალეს თარიღები: 28 სექტემბერი – 19 ოქტომბერი, 2024

მნიშვნელოვანი თარიღები:

- კონკურსის გამოცხადება: 2024 წლის 23 მარტი
- განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 2024 წლის 13 მაისი, 23:59 ცენტრალური ევროპის ზაფხულის დრო (CEST)

შედეგების გამოცხადება:

- 2024 წლის 15 ივნისი (შედეგების გამოცხადების ვადა შესაძლოა გახანგრძლივდეს განაცხადების შესაძლო დიდი რაოდენობის ან აპლიკანტებთან დამატებითი გასაუბრების საჭიროების გამო. ყველა ასეთი ცვლილების შესახებ კომუნიკაცია მოხდება თბილისის არქიტექტურის ბიენალეს სოციალური ქსელების საშუალებით Facebook, Instagram)

კონკურსის შედეგები ხელმისაწვდომი იქნება თბილისის არქიტექტურის ბიენალეს ფეისბუქ და ინსტაგრამ გვერდებზე.

განაცხადები და კონკურსთან დაკავშირებული კითხვები უნდა გამოიგზავნოს შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: submit@biennial.ge. თუ შეიძლება, მეილის სათაურში მიუთითეთ კონკურსის იმ კატეგორიის დასახელება, რომელშიც გსურთ მონაწილეობის მიღება.

განაცხადის გამოგზავნის შემდეგ 24 საათის განმავლობაში მოგივათ საბუთების მიღების დამადასტურებელი წერილი. იმ შემთხვევაში, თუ პასუხი არ მოგივათ, გთხოვთ, განაცხადის პაკეტი ხელახლა გამოაგზავნოთ.

მითითებული ბოლო ვადის შემდეგ გამოგზავნილი განაცხადები არ განიხილება.

თემა

TAB-ის 2024 წლის გამოშვება ყურადღებას გაამახვილებს ადამიანებსა და ბუნებრივ რესურსებს შორის ურთიერთობაზე და ხაზს გაუსვამს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ამ რთული დინამიკის ნავიგაციისას ასრულებენ არქიტექტორები, ქალაქმგეგმარებლები, პოლიტიკის შემქმნელები და გარემოსდამცველები.

თბილისის არქიტექტურის ბიენალეს 2024 წლის პროგრამა საქართველოს ბუნებრივ რესურსებს, მათ ისტორიულ ექსპლუატაციას, გარემოსდაცვითი პოლიტიკისა და კლიმატის ცვლილებების შედეგად წარმოქმნილ სოციალურ გამოწვევებს მიეძღვნება და ამ ყველაფერს შორის კომპლექსურ ურთიერთკავშირს შეისწავლის.

TAB 2024-ის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი წყალი იქნება: წყლის ობიექტების ექსპლუატაციურ რესურსებად გარდაქმნა, რაც უკავშირდება გლობალურ ტექნოლოგიურ პროგრესს, კლიმატის ცვლილებს და სოციალური ღირებულებების განვითარებას. გარდა ამისა, სიღრმისეული კრიტიკული კვლევა განივრცობა ექსპერტებთან ერთად, რათა გავაანალიზოთ ისტორიული, პოლიტიკური, გეოგრაფიული, გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, ეთიკური და სოციალური განზომილებები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს საქართველოს წარსული და აწმყო, ზოგადად, საერთო ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით.

წყლის გარდა, თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მე-4 გამოშვება შეეხება ისეთ კრიტიკულ საკითხებს, როგორიცაა ტყეების გაჩეხვა, სამთო ქალაქები, მყინვარების დნობა, კლიმატური კრიზისი, გარემოს დაბინძურება.. კვლევა ასევე კონცენტრირდება ურბანული ზრდის სირთულეებზე და მის შეზღუდვებზე, რაც გამოწვეულია ბუნებრივი რესურსების პროდუქტად და ინსტრუმენტებად გადაქცევით, პროგრესისა და მოგების მიღწევის მიზნით.

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობა:

კონკურსში განაცხადის შემოტანა შეუძლია ყველა დაინტერესებულ არქიტექტორს, ხელოვანს, მწერალს, მეცნიერს, ურბანისტსა და შემოქმედებითი სფეროს წარმომადგენელ ნებისმიერ ადამიანს მიუხედავად გეოგრაფიული ადგილისა, ასაკისა ან წარსული გამოცდილებისა. კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

განაცხადების შემოტანის პროცესი

კონკურსი აერთიანებს ორ სხვადასხვა კატეგორიას:

1. ფიზიკური კონტრიბუცია გამოფენისთვის შიდა ან გარე სივრცეში(ნამუშევარი/კვლევა ნებისმიერ ფიზიკურ ფორმატში)

2. საგანმანათლებლო აქტივობა ვორქშოფი

კონკურსში მონაწილეობისათვის განაცხადები წარმოდგენილი უნდა იყოს ინგლისურ ან ქართულ ენაზე. ყველა მიღებულ განაცხადს საერთაშორისო ჟიური იდეის ხარისხისა და 2024 წლის თბილისის არქიტექტურის ბიენალეს მთავარ კონცეფციასთან უშუალო კავშირის

გათვალისწინებით ანონიმურად შეაფასებს. ყველა შემოთავაზებული პროექტი უნდა მკაფიოდ ეხმაურებოდეს ბიენალეს მთავარ თემას.

განაცხადის მომზადების პირობების დეტალური აღწერა:

1. ფიზიკურ სივრცეში განხორციელებული პროექტი

თბილისის არქიტექტურის ბიენალე უმასპინძლებს შიდა გამოფენას, ასევე შესთავაზებს მონაწილეებს შექმნან ფიზიკური პროექტები (ინსტალაციები) გარე სივრცეში. კონკურსის მონაწილეებს თავად შეუძლიათ მათთვის სასურველი ფორმატის შემოთავაზება. გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ნამუშევარი ფიზიკურად უნდა განხორციელდეს თბილისში (საქართველო).

თბილისის არქიტექტურის ბიენალე მონაწილეობის მსურველებს შემოთავაზებული განაცხადებისა და კონცეფციებისთვის საორიენტაციოდ თბილისში მდებარე შემდეგ ადგილებს სთავაზობს (იხ. ბმული) თუმცა, კონკურსის მონაწილეებს რა თქმა უნდა, მათთვის სასურველი ადგილების შემოთავაზებაც შეუძლიათ.

გასაგზავნი დოკუმენტების სია:

1. პროექტის იდეის მოკლე აღწერა (მაქსიმუმ 500 სიტყვა)

2. ნამუშევრის ჩანახატი/ფოტო/რენდერი და მისი ტექნიკური აღწერა განზომილებების, ფერის, ორიენტაციის, სამუშაო მასალის, ფიზიკური განთავსების ადგილის და ა. შ. მითითებით (pdf ან jpeg ფორმატი)

3. განმცხადებლის პორტფოლიო (არჩევითი) და CV

4. პროექტის ბიუჯეტი

სამი შერჩეული მონაწილე დაჯილდოვდება თითოეული მაქსიმუმ 4000 ევროთი წარმოების ხარჯებისა და ჰონორარების დასაფარად. დაჯილდოებული თანხა მოიცავს ყველა მოქმედ გადასახადს, მათ შორის საბანკო გადასახადს ფულის გადარიცხვისა და მგზავრობის ხარჯებისთვის. თუ ბიუჯეტი აღემატება ბიენალეს მიერ განსაზღვრულ თანხას, განმცხადებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ დამატებითი დაფინანსება სხვა წყაროებიდან.

ერთი დამატებითი გამარჯვებული შეირჩევა შვეიცარიიდან, Pro Helvetia ფონდის მხარდაჭერით, იგივე პირობებით და წესებით, რაც ზემოთ არის გათვალისწინებული.

2. საგანმანათლებლო აქტივობა / ვორქშოფი

TAB 2024-ის ფარგლებში შემოთავაზებული იქნება 1 ვორქშოფი. განმცხადებელმა უნდა განსაზღვროს ვორქშოფის ხანგრძლივობა, კონტექსტი და განხორციელების დეტალები. დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განმცხადებლის CV და პორტფოლიო

2. კონცეფციის აღწერა ვორქშოფის თემისა და კომპონენტების ჩათვლით (მაქს. 500 სიტყვა).

3. დეტალური ბიუჯეტი

ერთი შერჩეული პროექტი დაჯილდოვდება მაქსიმუმ 3000 ევროს ოდენობით საგანმანათლებლო აქტივობის განსახორციელებლად. დაჯილდოებული თანხა მოიცავს ყველა მოქმედ გადასახადს, მათ შორის საბანკო გადასახადს ფულის გადარიცხვისა და მგზავრობის ხარჯებისთვის. თუ ბიუჯეტი აღემატება ბიენალეს მიერ განსაზღვრულ თანხას, განმცხადებლებს შეუძლიათ უზრუნველყონ დამატებითი დაფინანსება სხვა წყაროებიდან.

შენიშვნა: ეს კონკურსი ცხადდება მხოლოდ ფასილიტატორებისა და ვორქშოფის თემების შესარჩევად. მონაწილეთა შესარჩევი დამატებითი კონკურსი შესაძლოა მოგვიანებით გამოცხადდეს გამარჯვებულთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

შერჩევის პროცესი:

განაცხადებს შეაფასებს საერთაშორისო ინტერდისციპლინური ჟიური და მოწვეული ექსპერტები. განაცხადები განიხილება ანონიმურად და ჟიურის წევრებისთვის შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადაცემით.

კონკურსი გაიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ჟიური განიხილავს ყველა განაცხადს და მათგან საუკეთესოთა მოკლე სიას შეადგენს. მოკლე სიაში მოხვედრილი პროექტების ავტორები მოწვეული იქნებიან ინტერვიუებზე, რომელთა თარიღები მათთან შეთანხმებით დადგინდება. ჟიური პროექტებს ბიენალეს მთავარ თემასთან შესაბამისობის, მათი გავლენის, მდგრადობის, განხორციელების შესაძლებლობის, თემის აქტუალობისა და კონკურსის პირობებისა და ბიუჯეტის გათვალისწინებით შეაფასებს. ჟიური იტოვებს უფლებას გამოავლინოს გამარჯვებული ან გამარჯვებულები მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა წარმოდგენილი განაცხადი დააკმაყოფილებს კონკურსის მოთხოვნებს.

შედეგები:

საბოლოო გადაწყვეტილება კონკურსის შედეგების შესახებ გამოქვეყნდება 2024 წლის 15 ივნისს.

საავტორო უფლებები:

პროექტის მონაწილეები შეინარჩუნებენ ყველა უფლებას თავიანთ იდეებსა და დიზაინზე. ბიენალე იტოვებს მონაწილეების მიერ შექმნილი ნამუშევრების/კვლევის მასალების ბეჭდური და ციფრული ვერსიების ავტორის მითითებით გამოყენების უფლებას. გამოგზავნილი განაცხადები და დამატებითი მასალები (აღწერა, ბიუჯეტი, ჩანახატები, ფოტოები, რენდერები) შეინახება თბილისის არქიტექტურის ბიენალეს არქივში და არ გადაეცემა მესამე პირებს.